**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**
**National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia**

KA990147161972621

**№17/4244** **10 / ნოემბერი / 2021 წ.**

სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდი“-ის
პროექტის მენეჯერს მურათ ოკზანს
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #129ა
ელფოსტა: info@calikgeorgia.com; geodezigncompany@gmail.com

ბატონო მურათ,

თქვენი 2021 წლის 02 ნოემბრის წერილის № CGW-L-CLK-GEN-240 პასუხად, რომელიც ეხება კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნიგოზა“-ს მშენებლობას და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #257 დადგენილების მოთხოვნის გათვალისწინებით, საპროექტო დერეფანში არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ზედაპირული დაზვერვების ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ კვლევის შედეგად, საპროექტო არეალში ხილული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი და არტეფაქტები არ ფიქსირდება.

საყურადღებოა, რომ საპროექტო დერეფნის გარკვეული მონაკვეთები ახლოს მდებარეობს როგორც ნადარბაზევის ნასოფლართან, ისე უფლისციხის სამუზეუმო კომპლექსთან. შესაბამისად მიწის სამუშაოების დროს ახალი არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის ალბათობა მაღალია. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის განადგურება/დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ნადარბაზევის ნასოფლართან, ასევე 35-ე ანძიდან 44-ე ანძამდე დაგეგმილი მიწის სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს არქეოლოგის მეთვალყურეობით.

აქვე გაცნობებთ, რომ მიწის სამუშაოებზე მეთვალყურე არქეოლოგი ვალდებულია სააგენტოში წარმოადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააგენტო თანხმაა დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების თაობაზე, მხოლოდ არქეოლოგის ზედამხედველობით.**

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი